თბილისი ენერჯი

მიცკევიჩის ქ.№18ა, თბილისი, 0194, საქართველო
ს/კ 205129617; +995 (32) 2404004; info@te.ge; www.te.ge

№ 02-13-32772-23
23 / 05 / 2023

შპს ,,აბგრეიდ ქონსთრაქშენი“-ს წარმომადგენელს
თენგიზ ესიავას

ბატონო თენგიზ,

თქვენი მიმდინარე წლის 16 მაისის №02-13-32772-23 განცხადების პასუხად, რომელიც ეხება ქალაქი თბილისი, პეტრე იბერის შესახვევი №13-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი №01.10.06.001.296) მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებთან დაკავშირებით კომპანიის პოზიციის დაფიქსირებას გაცნობებთ, რომ საკადასტრო ერთეულის მიჯნაზე გადის შპს ,,თბილისი ენერჯი“-ს კუთვნილი მიწისქვეშა D=110pe საშუალო წნევის და სიახლოვეს D=90pe ასევე საშუალო წნევის გაზსადენები. კომპანია არ არის წინააღმდეგი მოიპოვოთ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები შემდეგი მოთხოვნის გათვალისწინებით:


- მანძილი მიწისქვეშა D=110pe და D=90pe საშუალო წნევის მილსადენების ღერძიდან ასაშენებელი შენობა-ნაგებობის საძირკვლამდე განისაზღვროს არანაკლებ **4 (ოთხი)** მეტრით საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2010 წლის 14 აპრილის №1-1/525 ბრძანების - „გაზის სისტემების უსაფრთხოების ზოგადი მოთხოვნების“ წესების შესაბამისად.

წარმოგიდგენთ აღნიშნულ ტერიტორიაზე მილსადენების განლაგების სქემატურ ნახაზს.

დანართი: სქემატური ნახაზი - 1 (ერთი) ფურცელი;

პატივისცემით,

გიგლა თამაზაშვილი
დირექტორი ტექნიკურ საკითხებში


1:600
N
W
E
S
D=90მმ
D=110მმ
01.10.06.001.296
პირობითი აღნიშვნები
შპს "თბილისი ენერჯის" საკუთრებაში არსებული მიწისქვეშა გაზსადენი
მიწის ნაკვეთი
თბილისი ენერჯი
TBILISI ENERGY